

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2021 წლის 29 დეკემბერი

ქ. ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების ოდენობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა თანამდებობრივი რანგების მითითებით და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურების ოდენობები დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 5

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №39 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 03.01.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016267).

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4510



2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3410
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2970
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2200
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2100
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1330

დანართი №2

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	I	1	2200
იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება				
2	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	II	1	1600
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში	III	1	1200
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში	III	1	1200
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	III	1	1000
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	1	1000
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში	III	1	1000
ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება				
8	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	II	1	1600
9	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - განყოფილების უფროსის მოადგილე ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	III	1	1200
10	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - განყოფილების უფროსის მოადგილე საქმისწარმოების საკითხებში	III	1	1200
11	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	III	1	1000
12	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	III	1	1000
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსურ საკითხებში	III	1	1000
ს უ ლ			13	16200

დანართი №3

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურების ოდენობები



№	პოზიციის დასახელება	რაოდენობა	შრომითი ანაზღაურების ოდენობა (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	850
2	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1	1300
3	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1	850
4	აიტი სპეციალისტი	1	1000
5	სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	850
6	სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	850
ს უ ლ		6	5700

